ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24
2012 წლის 22 ოქტომბერი

ქ. ქარელი

,,ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 20 სექტემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. ,,ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 20 სექტემბრის №23 დადგენილებით (სსმ, 32, 30/09/2010; 270070000.35.144.016010) დამტკიცებული დანართი შეიცვალოს ახალი დანართით.
2. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2012 წლის 19 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ღვინიაშვილი**

დანართი №1

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
I	გამგებელი	2650
II	გამგებლის მოადგილე	1300
III	სამსახურის უფროსი	1000
IV	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	810
V	გამგებლის თანაშემწე	790
VI	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – სპეციალისტი	560
VII	თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული	1000
VIII	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი –თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის სპეციალისტი	560